

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის
ბრძანება №120/ნ
2010 წლის 10 დეკემბერი ქ. თბილისი**

ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ¹“ ქვეპუნქტის, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 20² მუხლის პირველი პუნქტის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ და „პ⁴“ ქვეპუნქტების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს ზოგადი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩო დანართი №1-ის შესაბამისად.
2. დამტკიცდეს პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩო დანართი №2-ის შესაბამისად.
3. დამტკიცდეს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩო დანართი №3-ის შესაბამისად.
4. დამტკიცდეს მიმართულებების, დარგების/სპეციალობების, ქვედარგების/სპეციალი-ზაციებისა და პროფესიული სპეციალიზაციების ჩამონათვალი დანართი №4-ის შესაბამისად.
5. დამტკიცდეს კვალიფიკაციის ფორმირების წესი დანართი №5-ის შესაბამისად.
6. ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი „საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანება.
7. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დ. შაშკინი

დანართი №1

ზოგადი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩო

მუხლი 1. არსი და შემუშავების მიზნები

1. ზოგადი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩო არის ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შემადგენელი ნაწილი, რომელშიც სისტემატიზებულია ზოგადი განათლების საბაზო საფეხურისა და სრული ზოგადი განათლების კვალიფიკაციები.

2. ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის კვალიფიკაცია არის ზოგადი განათლების დაწყებითი და საბაზო საფეხურების პროგრამების დამლევით მიღწეული სწავლის შედეგი, რაც დასტურდება სახელმწიფოს მიერ აღიარებული დოკუმენტით.

3. სრული ზოგადი განათლების კვალიფიკაცია არის ზოგადი განათლების სამივე საფეხურის პროგრამების დამლევით მიღწეული სწავლის შედეგი, რაც დასტურდება სახელმწიფოს მიერ აღიარებული დოკუმენტით.

4. ზოგადი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიზანია:

- ა) ზოგადი განათლების კომპეტენციებსა და ქვეყნის განათლების სისტემის სხვადასხვა საფეხურის კომპეტენციებს შორის ურთიერთკავშირის აღწერა;
- ბ) ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე სისტემების მხარდაჭერა და ზოგადი განათლების ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა;
- გ) საერთაშორისო დონეზე თავსებადობისა და შესაძარობის უზრუნველყოფა განათლების მიღებისა თუ კვალიფიკაციათა აღიარების პროცესის გასამარტივებლად;
- დ) მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის ხელშეწყობა.

მუხლი 2. ზოგადი განათლების სისტემის აღწერა

1. ზოგადი განათლების დაწყების ასაკია 5 წელი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეიძლება განსაზღვროს ამ წესიდან გამონაკლისი შემთხვევები.
2. სრულ ზოგად განათლებას აქვს სამი საფეხური: დაწყებითი (6 წელი), საბაზო (3 წელი) და საშუალო (3 წელი). ზოგადი განათლების დაწყებით და საბაზო საფეხურებზე სწავლა სავალდებულოა. დაუშვებელია მოსწავლის დატოვება ზოგადი განათლების სისტემის მიღმა, საბაზო საფეხურის დაძლევაამდე.
3. ზოგადი განათლების მიღება შეიძლება ექსტერნატის ფორმით. ექსტერნს უფლება აქვს, მიიღოს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი ექსტერნატის ფორმით ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონის დაძლევის და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის – ატესტატის მისაღებად ჩასაბარებელი მინიმალური კომპეტენციის გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში.
4. ზოგადი განათლების მიღება შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს ალტერნატიული ფორმებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით, მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებისა და შრომითი და ოჯახური პირობების გათვალისწინებით.
5. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება შეიძლება იყოს როგორც საჯარო, ისე კერძო სამართლის იურიდიული პირი.
6. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის უფლების მოსაპოვებლად დაწესებულებას სჭირდება ავტორიზაცია.
7. ზოგად განათლებას კანონით დადგენილი წესით სრულად აფინანსებს სახელმწიფო, ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი ვაუჩერით.
8. ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნების მისაღწევად სახელმწიფო შეიმუშავებს ეროვნულ სასწავლო გეგმას, რომლითაც განისაზღვრება ზოგადი განათლების საფეხურების მიხედვით აუცილებელი საგნები, საგნობრივი ჯგუფები, საგნების მიხედვით საათები, მათი განაწილება და თანაფარდობა, აუცილებელი და მაქსიმალური დატვირთვის რაოდენობა, საგნებისა და საგნობრივი ჯგუფების სწავლებისათვის აუცილებელი მინიმალური საათების რაოდენობა, სასწავლო გარემოს ორგანიზების პირობები და რეკომენდაციები.
9. ეროვნული სასწავლო გეგმის შესრულება სავალდებულოა ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისათვის. ეროვნული და სასკოლო სასწავლო გეგმებით გათვალისწინებული საგნების სწავლება უნდა იყოს აკადემიური, ობიექტური, ნეიტრალური და პლურალისტური.

10. ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტის მქონე პირს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე აქვს ზოგადი განათლების მომდევნო საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლება.

11. მოსწავლეს უფლება აქვს, გადავიდეს ერთი სკოლიდან სხვა სკოლაში ზოგადი განათლების იმავე საფეხურზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

12. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების უფლება აქვს პირს, რომელიც ფლობს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს.

13. საბაზო საფეხურის დაძლევის საფუძველზე პირს აქვს უფლება, სწავლა გააგრძელოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

მუხლი 3. კვალიფიკაციათა აღმწერი

1. ზოგადი განათლების კვალიფიკაციათა აღმწერი განსაზღვრავს ზოგადი განათლების საბაზო საფეხურისა და სრული ზოგადი განათლების სწავლის შედეგებს ექვსი კრიტერიუმის საფუძველზე:

- ა) ცოდნა და გაცნობიერება;
- ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი;
- გ) დასკვნის უნარი;
- დ) კომუნიკაციის უნარი;
- ე) სწავლის უნარი;
- ვ) ღირებულებები.

2. კვალიფიკაციათა აღმწერი ერთმანეთისაგან განასხვავებს ზოგადი განათლების საბაზო საფეხურისა და სრული ზოგადი განათლების კვალიფიკაციებს და უზრუნველყოფს მათ შორის ლოგიკურ კავშირს.

3. ზოგადი განათლების საფეხურები, სწავლის შედეგების მიხედვით, აღწერილია იერარქიულად. ზოგადი განათლების ყოველ მომდევნო საფეხურზე წინა საფეხურის სწავლის შედეგების საფუძველზე მიიღწევა დამატებითი სწავლის შედეგები.

4. ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის სწავლის შედეგებია:

- ა) ცოდნა და გაცნობიერება – ძირითად მეცნიერებათა საფუძვლების საბაზო ცოდნა. ყოფითი მარტივი ამოცანების შესასრულებლად აუცილებელი ნაბიჯების გაცნობიერება;
- ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი – შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების გამოყენება ყოფითი მარტივი ამოცანების შესასრულებლად;
- გ) დასკვნის უნარი – პრაქტიკული და შემეცნებითი უნარების გამოყენებით ყოფითი მარტივი პრობლემების გააზრება და მათ შორის კავშირების დადგენა;
- დ) კომუნიკაციის უნარი – ყოფით მარტივ საკითხებზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია, საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით საჭირო ინფორმაციის მოძიება, ასევე უცხოურ ენაზე აზრის გაგება და გადაცემა;
- ე) სწავლის უნარი – სიცოცხლის განმავლობაში (უწყვეტი) სწავლის მნიშვნელობის გააზრება და შემდგომი სწავლის შესახებ არჩევანის გაკეთება;
- ვ) ღირებულებები – ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების პატივისცემა, ოჯახისა და საზოგადოების წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერება.

5. სრული ზოგადი განათლების კვალიფიკაციის მფლობელი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) ცოდნა და გაცნობიერება – ძირითადი მეცნიერებებისათვის დამახასიათებელი ზოგადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და კონცეფციების ცოდნა, გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელი ნაბიჯების გაცნობიერება;

ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი – შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება, დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომის შეფასება, სათანადო მეთოდების, ინსტრუმენტებისა და მასალების შერჩევა;

გ) დასკვნის უნარი – განსხვავებულ სიტუაციებში წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი;

დ) კომუნიკაციის უნარი – განსხვავებულ სიტუაციებში ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია ზოგად საკითხებზე, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ეფექტიანად გამოყენება, უცხოური ენის პრაქტიკულად გამოყენება;

ე) სწავლის უნარი – წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება;

ვ) ღირებულებები – განსხვავებულ სიტუაციებში ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების შესაბამისად მოქმედება.

დანართი №2

პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩო

მუხლი 1. პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს შინაარსი და მისი შემუშავების მიზნები

1. პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩო არის ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შემადგენელი ნაწილი, რომელშიც სისტემატიზებულია საქართველოში არსებული პროფესიული განათლების კვალიფიკაციები.

2. პროფესიული კვალიფიკაცია არის პროფესიული ცოდნისა და უნარების ფლობა, რაც დასტურდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების მიერ გაცემული პროფესიული დიპლომით. (10.07.2015 N 69/6)

3. პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიზანია:

ა) პროფესიული განათლების სისტემის გამჭვირვალობისა და პროფესიული კვალიფიკაციების სიცხადის უზრუნველყოფა;

ბ) ქვეყნის ეკონომიკის მოთხოვნების, შრომის ბაზრისა და განათლების სისტემის ურთიერთკავშირის ხელშეწყობა;

გ) განათლების ხარისხის უზრუნველყოფაზე ორიენტაცია;

დ) მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის ხელშეწყობა;

ე) სისტემის მოქნილობის უზრუნველყოფა, კვალიფიკაციების აღიარებისა და მობილობის ხელშეწყობა;

ვ) საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა არსებული საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესებისა და ახალი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის პროცესში.

მუხლი 2. პროფესიული განათლების სისტემა

1. საქართველოში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებებია:

ა) პროფესიული კოლეჯი – პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს მხოლოდ პირველი სამი საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს;

ბ) საზოგადოებრივი კოლეჯი – პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს ყველა საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, აგრეთვე მოსამზადებელ ზოგადსაგანმანათლებლო, ქართული ენისა და ლიბერალური განათლების საგანმანათლებლო პროგრამებს;

გ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს პროფესიული განათლების პირველი სამი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამები;

დ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს ყველა საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.

2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება შეიძლება იყოს როგორც საჯარო, ისე კერძო სამართლის იურიდიული პირი.

3. საქართველოში არსებობს პროფესიული განათლების ხუთი საფეხურის კვალიფიკაცია.

4. პროფესიული დიპლომი გაიცემა პროფესიული განათლების თითოეული საფეხურის დასრულების შემდეგ.

5. **ამოღებულია** (10.07.2015 N 69/6)

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველ საფეხურზე სწავლის უფლება აქვს საბაზო განათლების მქონე პირს.

7. კონკრეტული პროფესიული განათლების საფეხურები განისაზღვრება პროფესიული სტანდარტით, რომელიც მოიცავს პროფესიული განათლების საფეხურებიდან ერთ-ერთს, რამდენიმეს ან ყველას.

8. პროფესიული განათლების თითოეული საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და მისი ცალკეული კომპონენტები გაანგარიშებული უნდა იქნეს კრედიტებით. (10.07.2015 N 69/6)

მუხლი 3. კვალიფიკაციათა აღმწერი

1. პროფესიულ კვალიფიკაციათა აღმწერით განისაზღვრება პროფესიული განათლების ცალკეული საფეხურის შესაბამისი სწავლის შედეგები ექვსი კრიტერიუმის მიხედვით:

- ა) ცოდნა და გაცნობიერება;
- ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი;
- გ) დასკვნის უნარი;
- დ) კომუნიკაციის უნარი;
- ე) სწავლის უნარი;
- ვ) ღირებულებები.

2. კვალიფიკაციის ყოველი შემდგომი საფეხური მოიცავს წინა საფეხურის სწავლის შედეგებს და გამოიხატება უფრო მაღალი პროფესიული ცოდნით, გაზრდილი უნარებითა და ღირებულებებით.

3. პროფესიული განათლების პირველი საფეხურის სწავლის შედეგებია:

ა) ცოდნა და გაცნობიერება – სფეროს საფუძვლების ზოგადი ცოდნა და მარტივი ამოცანების შესასრულებლად აუცილებელი ნაბიჯების გაცნობიერება;

ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი – სტრუქტურირებულ გარემოში უშუალო ხელმძღვანელობით მარტივი და ერთგვაროვანი დავალებების შესრულება ძირითადი მასალებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით;

გ) დასკვნის უნარი – ხელმძღვანელის მითითებების გათვალისწინებით სამუშაო პროცესში გამოვლენილი მარტივი პრობლემების ამოცნობა;

დ) კომუნიკაციის უნარი – პროფესიასთან დაკავშირებულ მარტივ საკითხებზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, ასევე უცხოური ენის საბაზო დონეზე ფლობა;

ე) სწავლის უნარი – სხვისი ხელმძღვანელობით სწავლა;

ვ) ღირებულებები – პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების ცოდნა.

4. პროფესიული განათლების მეორე საფეხურის სწავლის შედეგებია:

ა) ცოდნა და გაცნობიერება – სფეროს ფაქტობრივ გარემოებებზე დამყარებული ზოგადი ცოდნა და ძირითადი ამოცანების შესასრულებლად აუცილებელი ნაბიჯების გაცნობიერება;

ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი – შეუძლია სტაბილურ გარემოში გარკვეული დამოუკიდებლობით წინასწარ განსაზღვრული დავალებების შესრულება ძირითადი მეთოდების, ინსტრუმენტებისა და მასალების გამოყენებით;

გ) დასკვნის უნარი – პრობლემის გადასაჭრელად მიწოდებული ინფორმაციის გამოყენება და შესაბამისი სამუშაოს შესასრულებლად აუცილებელი დასკვნის გარკვეული დამოუკიდებლობით გაკეთების უნარი;

დ) კომუნიკაციის უნარი – პროფესიასთან დაკავშირებულ მარტივ საკითხებზე დეტალური ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პროფესიული თვალსაზრისით გამოყენება. ელემენტარული დონის კომუნიკაცია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

ე) სწავლის უნარი – სხვისი ხელმძღვანელობით სწავლა დამოუკიდებლობის გარკვეული ხარისხით;

ვ) ღირებულებები – პროფესიული საქმიანობისთვის დამახასიათებელი ღირებულებების გათავისება და მათ შესაბამისად მოქმედება.

5. პროფესიული განათლების მესამე საფეხურის სწავლის შედეგებია:

ა) ცოდნა და გაცნობიერება – სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელი ნაბიჯების გაცნობიერება;

ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი – სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრის გამოყენება, დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომის შეფასება, სათანადო მეთოდების, ინსტრუმენტებისა და მასალების შერჩევა და მისადაგება;

გ) დასკვნის უნარი – განსხვავებულ სიტუაციებში წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი;

დ) კომუნიკაციის უნარი – ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში, პროფესიულ საქმიანობასთან

დაკავშირებული საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ეფექტიანად გამოყენება, უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება;

ე) სწავლის უნარი – წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება;

ვ) ღირებულებები – განსხვავებულ სიტუაციებში პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად მოქმედება.

6. პროფესიული განათლების მეოთხე საფეხურის სწავლის შედეგებია:

ა) ცოდნა და გაცნობიერება – სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა, პრობლემების გადაჭრის ზოგადი შესაძლებლობების გაცნობიერება;

ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი – სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში სანდო ინფორმაციის წყაროების გამოყენება, წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის დასაძლევად სტრატეგიის შემუშავება და მიღებული შედეგების შეფასება შესრულებული სამუშაოს გასაუმჯობესებლად;

გ) დასკვნის უნარი – სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგის ანალიზი;

დ) კომუნიკაციის უნარი – ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში, ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება, უცხოურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება;

ე) სწავლის უნარი – საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა განჭვრეტად, თუმცა ნაწილობრივ ცვალებად, ვითარებაში;

ვ) ღირებულებები – პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებებისადმი პასუხისმგებლობით დამოკიდებულება და ცვალებად სიტუაციებში მათ შესაბამისად მოქმედება.

7. პროფესიული განათლების მეხუთე საფეხურის სწავლის შედეგებია:

ა) ცოდნა და გაცნობიერება – პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი და/ან სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობების (საზღვრების) გაცნობიერება;

ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი – შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად;

გ) დასკვნის უნარი – გამოკვეთილი პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება;

დ) კომუნიკაციის უნარი – იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება. უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა;

ე) სწავლის უნარი – საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში;

ვ) ღირებულებები – პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებთან თავისი და სხვათა დამოკიდებულების შეფასება და სხვებისთვის გაზიარება.

მუხლი 4. პროფესიული კვალიფიკაციები (10.07.2015 N 69/6)

პროფესიული კვალიფიკაციის სახელწოდება მოიცავს ტერმინს „პროფესიული კვალიფიკაცია“ შესაბამისი საფეხურისა და პროფესიული სპეციალიზაციის მითითებით.

დანართი №3

უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩო

მუხლი 1. არსი და შემუშავების მიზნები

1. უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩო არის ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შემადგენელი დოკუმენტი, რომელშიც სისტემატიზებულია საქართველოში არსებული უმაღლესი (აკადემიური) განათლების კვალიფიკაციები.

2. უმაღლესი განათლების კვალიფიკაცია არის სწავლის შედეგი, რომელიც მიიღწევა აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევით და დასტურდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული დიპლომით. უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩო უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების აღწერას სწავლის შედეგების საფუძველზე.

3. უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიზანია:

ა) ქვეყანაში არსებულ კვალიფიკაციათა ურთიერთკავშირის აღწერა;

ბ) სტუდენტების, დამსაქმებლებისა და აკადემიური პერსონალისათვის არსებული კვალიფიკაციების გაგების გაადვილება;

გ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა არსებული საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესებისა და ახალი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის პროცესში;

დ) ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე სისტემების მხარდაჭერა და უმაღლესი განათლების ხარისხის ამაღლება;

ე) სტუდენტზე ორიენტირებული განათლების სისტემის ჩამოყალიბების საფუძვლის შექმნა;

ვ) საერთაშორისო დონეზე თავსებადობისა და შესაძარობის უზრუნველყოფა, ასევე კვალიფიკაციებისა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების ურთიერთაღიარების პროცესის გაადვილება;

ზ) სტუდენტების მობილობის წახალისება და ხელშეწყობა;

თ) მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის ხელშეწყობა.

4. ცალკეულ დარგში სწავლის შედეგები კონკრეტდება წინამდებარე დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული დარგობრივი სტანდარტის მეშვეობით, რომელიც აღწერს შესაბამისი საფეხურისა და სპეციალობის კვალიფიკაციის მფლობელის კომპეტენციებს.

მუხლი 2. უმაღლესი განათლების სისტემა

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახეებია:

ა) კოლეჯი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს აკადემიური უმაღლესი განათლების მხოლოდ პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას;

ბ) სასწავლო უნივერსიტეტი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას/პროგრამებს (გარდა დოქტორანტურისა). სასწავლო უნივერსიტეტი აუცილებლად ახორციელებს მეორე საფეხურის – მაგისტრატურის – საგანმანათლებლო პროგრამას/პროგრამებს;

გ) უნივერსიტეტი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს სამივე საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებსა და სამეცნიერო კვლევებს.

2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვება ხორციელდება ავტორიზაციით. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება შეიძლება იყოს როგორც საჯარო, ისე კერძო სამართლის იურიდიული პირი. საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაცია ნებაყოფლობითია.

3. რეგულირებადი, მასწავლებლის მომზადების, ქართულ ენაში მომზადებისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება დასაშვებია მხოლოდ აკრედიტაციის მიღების შემთხვევაში. სახელმწიფო სასწავლო გრანტი და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი გაიცემა მხოლოდ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების იმ საგანმანათლებლო პროგრამის დასაფინანსებლად, რომელსაც გავლილი აქვს აკრედიტაცია. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციასა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.

4. საქართველოში არსებობს უმაღლესი განათლების სამი საფეხური. საგანმანათლებლო პროგრამები აღწერილია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემით.

5. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პირველ საფეხურზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდები. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 240 კრედიტს.

6. პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შუალედური კვალიფიკაციის მინიჭება დასაშვებია შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილის გავლისთვის დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რომელიც არ შეიძლება იყოს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების ნახევარზე ნაკლები.

7. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა არის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილი, ან ხორციელდება დამოუკიდებელი საგანმანათლებლო პროგრამის სახით, რომელიც ისწავლება არანაკლებ 1 სასწავლო წლის განმავლობაში, მოიცავს 60 კრედიტს და მისი გავლის უფლება აქვს პირს, რომელიც ფლობს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს, ან შესაბამისი სახელოვნებო/სასპორტო პროფესიული უმაღლესი განათლების დამადასტურებელ დიპლომს. კურსდამთავრებულზე გაიცემა მასწავლებლის მომზადების

სერტიფიკატი. სერტიფიკატის მფლობელი უფლებამოსილია, სწავლა განაგრძოს განათლების მაგისტრის 60-კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამით.

8. სამედიცინო, სტომატოლოგიური და ვეტერინარიული განათლება მიიღება ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამით, რომელიც სწავლის შედეგებით უთანაბრდება მეორე საფეხურს. დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა არის 360-კრედიტიანი, ხოლო დიპლომირებული სტომატოლოგის/ვეტერინარის საგანმანათლებლო პროგრამა – 300-კრედიტიანი.

9. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მეორე საფეხურზე სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს. მიღების წინაპირობაა სამაგისტრო გამოცდები. მიღების დამატებითი პირობები განისაზღვრება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 120 კრედიტს.

10. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მესამე საფეხურზე სწავლის უფლება აქვს არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს. მიღების წინაპირობა განისაზღვრება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 180 კრედიტს.

11. ერთიანი ეროვნული და სამაგისტრო გამოცდების ჩატარებას უზრუნველყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ზოგადი წესიდან გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევაში. (22.10.2014 N 159/6)

მუხლი 3. კვალიფიკაციათა აღმწერი

1. უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა აღმწერით განისაზღვრება შესაბამის საფეხურზე მისაღწევი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების დონე, რაც მოიცავს ექვს კრიტერიუმს:

- ა) ცოდნა და გაცნობიერება;
- ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი;
- გ) დასკვნის უნარი;
- დ) კომუნიკაციის უნარი;
- ე) სწავლის უნარი;
- ვ) ღირებულებები.

2. უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოსა და შესაბამის დარგობრივ დოკუმენტზე დაყრდნობით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მისიიდან გამომდინარე, ხორციელდება ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება. საგანმანათლებლო პროგრამის, ასევე სასწავლო კურსისა თუ მოდულის სწავლის შედეგები აღიწერება დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციებით.

3. უმაღლესი განათლების საფეხურები, სწავლის შედეგების მიხედვით, აღწერილია იერარქიულად. უმაღლესი განათლების ყოველი მომდევნო საფეხური გულისხმობს წინა საფეხურზე მიღებული სწავლის შედეგების საფუძველზე დამატებითი სწავლის შედეგების მიღწევას.

4. უმაღლესი განათლების პირველი საფეხურისა და ასევე პირველი საფეხურის ფარგლებში არსებული მოკლე ციკლის სწავლის შედეგები დაფუძნებულია სრული ზოგადი განათლების სწავლის შედეგებზე.

5. უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის ფარგლებში არსებული მოკლე ციკლის სწავლის შედეგებია:

ა) ცოდნა და გაცნობიერება – სფეროს მრავალმხრივი და/ან სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა. პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობების (საზღვრების) გაცნობიერება;

ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი – შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად;

გ) დასკვნის უნარი – მკაფიოდ გამოკვეთილი პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება;

დ) კომუნიკაციის უნარი – იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მრავალმხრივად გამოყენება. უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა;

ე) სწავლის უნარი – საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში;

ვ) ღირებულებები – პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებთან თავისი და სხვათა დამოკიდებულების შეფასება და სხვებისთვის გაზიარება.

6. უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის სწავლის შედეგებია:

ა) ცოდნა და გაცნობიერება – სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას. სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერება;

ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი – სფეროსათვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;

გ) დასკვნის უნარი – სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება;

დ) კომუნიკაციის უნარი – იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა ქართულ და უცხოურ ენებზე, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება;

ე) სწავლის უნარი – საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა;

ვ) ღირებულებები – ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა.

7. უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის სწავლის შედეგებია:

ა) ცოდნა და გაცნობიერება – აქვს სფეროს დრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს;

ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი – ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება; კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით;

გ) დასკვნის უნარი – რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი;

დ) კომუნიკაციის უნარი – თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე, აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით;

ე) სწავლის უნარი – სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და სტრატეგიულად დაგეგმვის მაღალი დონე;

ვ) ღირებულებები – ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.

8. უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის სწავლის შედეგებია:

ა) ცოდნა და გაცნობიერება – დარგის/ქვედარგის ან დარგთაშორისი სფეროს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რაც არსებული ცოდნის გაფართოებისა თუ ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა (რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე). არსებული ცოდნის ხელახალი გააზრებისა და ნაწილობრივ გადაფასების გზით ცოდნის განახლებული ფარგლების გაცნობიერება;

ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი – ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება და ზედამხედველობა; შემუშავება ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომებისა, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული და აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში;

გ) დასკვნის უნარი – ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება, რითაც ხდება ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება/განვითარების ხელშეწყობა; პრობლემის გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება;

დ) კომუნიკაციის უნარი – ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა, ასევე საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა უცხოურ ენაზე;

ე) სწავლის უნარი – უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, ახალი იდეების ან პროცესების განვითარების მზაობა სწავლისა და საქმიანობის, მათ შორის, კვლევის პროცესში;

ვ) ღირებულებები – ღირებულებათა დამკვიდრების გზების კვლევა და მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავება.

9. კვალიფიკაციის აღწერი შეიძლება დაზუსტდეს ან დაკონკრეტდეს შესაბამისი დარგობრივი დოკუმენტით.

მუხლი 4. მისანიჭებელი კვალიფიკაციები

1. პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში არსებული მოკლე ციკლის კვალიფიკაციის სახელწოდება მოიცავს ტერმინს – „შუალედური კვალიფიკაცია“, მიმართულების ან/და დარგის/სპეციალობის მითითებით.

2. პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციის სახელწოდება მოიცავს ტერმინს – „ბაკალავრი“ შესაბამისი მიმართულების ან/და დარგის/სპეციალობის მითითებით. საგანმანათლებლო პროგრამაში სტუდენტს შეუძლია ძირითადი სპეციალობისა (არანაკლებ 120 კრედიტი) და დამატებითი სპეციალობის (სასურველია 60 კრედიტი) კომბინირება შემდეგი სახით: (22.11.2012 N 244/5)

- ა) ძირითადი სპეციალობა და თავისუფალი კომპონენტები;
- ბ) ძირითადი სპეციალობა, დამატებითი სპეციალობა და თავისუფალი კომპონენტები;
- გ) ძირითადი და ორი დამატებითი სპეციალობა.

2¹. საგანმანათლებლო პროგრამაში შესაძლებელია მხოლოდ იმ დამატებითი სპეციალობის კომბინირება, რომლის ძირითადი სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში უკვე ხორციელდება ავტორიზებულ ან აკრედიტებულ რეჟიმში. (17.11.2017 N 187/5)

3. მეორე საფეხურის კვალიფიკაციის სახელწოდება მოიცავს ტერმინს – „მაგისტრი“, შესაბამისი მიმართულების, დარგის/სპეციალობის ან/და ქვედარგის/სპეციალიზაციის მითითებით. სამაგისტრო პროგრამა მოიცავს სასწავლო კომპონენტსა და დამოუკიდებელი კვლევის საფუძველზე შემუშავებულ საკვალიფიკაციო ნაშრომს. სასურველია, სამაგისტრო პროგრამა შედგებოდეს პრაქტიკული კომპონენტისგანაც.

4. მესამე საფეხურის კვალიფიკაციის სახელწოდება მოიცავს ტერმინს – „დოქტორი“, მიმართულების ან/და დარგის/სპეციალობის მითითებით. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს სასწავლო და კვლევით კომპონენტებს. იგი სრულდება დამოუკიდებელი კვლევის საფუძველზე საკვალიფიკაციო ნაშრომის შემუშავებითა და საჯარო დაცვით.

5. რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტის მომზადებაზე შესაბამისი რეგულირებადი პროფესიისათვის. საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ 75% ეთმობა რეგულირებადი პროფესიისათვის აუცილებელი კომპეტენციების გამომუშავებას. (22.11.2012 N 244/5)

დანართი №4 (20.04.2012 N 84/5)

მიმართულებების, დარგების/სპეციალობების, ქვედარგების/სპეციალიზაციებისა და პროფესიული სპეციალიზაციების ჩამონათვალი

მიმართულება	დარგი/სპეციალობა	ქვედარგი/სპეციალიზაცია	პროფესიული სპეციალიზაცია
01 აგრარული მეცნიერებანი	0101 აგრონომია	010101 აგროეკოლოგია 010102 აგროქიმია- ნიადაგმცოდნეობა	010151 ამოღებულია (17.02.2017 N 30/5) 010152 მეზადე (დეკორატიული მცენარეების); (8.01.2014 N 02/5)

		<p>010103 აგროტექნოლოგია 010104 აგრობიოტექნოლოგია 010105 მცენარეთა სელექცია-გენეტიკა 010106 მცენარეთა დაცვა 010107 ხილ-ბოსტნეულისა და ყურძნის მოყვანის ტექნოლოგია 010108 სამკურნალო მცენარეების მოყვანის ტექნოლოგია 010109 ორგანული სოფლის მეურნეობა 010110 მებაზრეშუმეობის ტექნოლოგია</p>	<p>010153 მებოსტნე 010154 მევენახე 010155 მემცენარე 010156 <i>ამოღებულია</i> (17.02.2017 N 30/6) 010157 მეხილე 010158 მცენარეების დამამზადებელი (სამკურნალო, არომატული) 010159 მცენარეთა დაცვის ტექნიკოსი 010160 <i>ამოღებულია</i> (17.02.2017 N 30/6) 010161 მელიორატორი (აგრომელიორატორი, ჰიდრომელიორატორი) 010162 <i>ამოღებულია</i> (17.02.2017 N 30/6) 010163 <i>ამოღებულია</i> (17.02.2017 N 30/6) 010164 მევენახე-მელვინე. (26.06.2014 N 78/6) 010165 – სამკურნალო მცენარეების დამამზადებელი (23.05.2016 N 44/6) 010166 – მეხილეობა (კურკოვანი კულტურები/თესლოვანი კულტურები/კაკლოვანი კულტურები); (31.10.2016 N 145/6) 010167 - ბიომეურნეობა. (25.07.2018 N02/6)</p>
<p>0102 ვეტერინარია</p>	<p>010201 დიპლომირებული ვეტერინარი (ერთსაფეხურიანი)</p>		<p>010251 ვეტერინარიული მომსახურების სპეციალისტი (წვრილ ცხოველთა: ძაღლი, კატა და სხვა; სასოფლო - სამეურნეო ცხოველებისა და ფრინველების; ეგზოტიკური ცხოველების, ფრინველებისა და თევზების და სხვა) 010252 - ვეტერინარია. (25.07.2018 N02/6)</p>
<p>0103 მეცხოველეობა</p>	<p>010301 მეცხოველეობის პროდუქტებისა და ნედლეულის საქონელმცოდნეობა 010302 ცხოველთა და ფრინველთა მოშენება 010303 ცხოველთა და ფრინველთა კვება 010304 იქთიოლოგია 010305 მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება</p>		<p>010351 <i>ამოღებულია</i> (17.02.2017 N 30/6) 010352 ზოოტექნიკოსი (მეცხენეობა, მებოცვარეობა, მეფრინველეობა და ა.შ) 010353 მეფუტკრე 010354 <i>ამოღებულია</i> (30.11.2017 N 191/6) 010355 <i>ამოღებულია</i> (17.02.2017 N 30/6) 010356 <i>ამოღებულია</i> (17.02.2017 N 30/6) 010357 <i>ამოღებულია</i> (17.02.2017 N 30/6) 010358 <i>ამოღებულია</i> (17.02.2017 N 30/6) 010359 <i>ამოღებულია</i> (17.02.2017 N 30/6) 010360 <i>ამოღებულია</i> (17.02.2017 N 30/6) 010361 <i>ამოღებულია</i> (17.02.2017 N 30/6) 010362 – თევზის მომშენებლო-ოპერატორი (23.05.2016 N 44/6) 010363 - მეცხოველეობა (მესაქონლეობა). (31.10.2016 N 145/6) 010364 – მეთევზეობა. (23.08.2017 N 146/6)</p>
<p>0104 სასურსათო</p>	<p>010401 კვების პროდუქტების</p>		<p>010451 ხილ-ბოსტნეულის</p>

	ტექნოლოგია	გადამუშავებისა და დაკონსერვების ტექნოლოგია 010402 სასმელების ტექნოლოგია (ალკოჰოლიანი, უალკოჰოლო) 010403 სურსათის უვნებლობა 010404 სამადულრო წარმოების ბიოტექნოლოგია 010405 სუბტროპიკული კულტურების გადამუშავების ტექნოლოგია	გადამმუშავებელი 010452 ამოღებულია (17.02.2017 N 30/6) 010453 რძის გადამმუშავებელი 010454 ამოღებულია (17.02.2017 N 30/6) 010455 ამოღებულია (17.02.2017 N 30/6) 010456 ამოღებულია (17.02.2017 N 30/6) 010457 ამოღებულია (17.02.2017 N 30/6) 010458 ამოღებულია (17.02.2017 N 30/6) 010459 მეღვინე 010460 ამოღებულია (17.02.2017 N 30/6) 010461 ამოღებულია (17.02.2017 N 30/6) 010462 კონდიტერ 010463 მზარეული ამოღებულია (18.09.2017 N 168/ნ ძალაში შევიდეს 2019 წლის 27 ივლისიდან) 010464 ამოღებულია (17.02.2017 N 30/6) 010465 – კულინარიის ხელოვნება. (23.08.2017 N 146/6)
	0105 სატყეო საქმე	010501 სატყეო მეურნეობა 010502 სატყეო ეკოლოგია 010503 სანადირე მეურნეობა 010504 ტყეთომოწყობა	010551 მეტყევე (ტყისმჭრელი, ტაქსატორი) 010552 ამოღებულია (17.02.2017 N 30/6) 010553 ამოღებულია (17.02.2017 N 30/6) 010554 ამოღებულია (17.02.2017 N 30/6) 010555 ამოღებულია (17.02.2017 N 30/6) 010556 – სატყეო საქმე. (6.07.2017 N 112/6)
	0106 სატყეო მეცნიერება (12.02.2013 N 26/6)		
მიმართულება	დარგი/სპეციალობა	ქვედარგი/სპეციალიზაცია	პროფესიული სპეციალიზაცია
02 ბიზნესის ადმინისტრირება	0201 საბუღალტრო აღრიცხვა	020101 ფინანსური აღრიცხვა და კონტროლი 020102 აუდიტი 020103 საგადასახადო საქმე 020104 მმართველობითი აღრიცხვა და შიდა კონტროლი	020151 ბუღალტერი ამოღებულია (18.09.2017 N 168/ნ ძალაში შევიდეს 2019 წლის 1 იანვრიდან) 020152 მოლარე (ზანკის და ა.შ.) 020153 აუდიტორის ასისტენტი 020154 - მოლარე (6.08.2015 N 96/6) ამოღებულია (18.09.2017 N 168/ნ ძალაში შევიდეს 2018 წლის 27 ივლისიდან) 020155 - ბუღალტერ - ტექნიკოსი. (6.08.2015 N 96/6) ამოღებულია (18.09.2017 N 168/ნ ძალაში შევიდეს 2019 წლის 1 იანვრიდან) 020156 – ბუღალტრული აღრიცხვა. (23.08.2017 N 146/6)
	0202 მარკეტინგი	020201 საერთაშორისო მარკეტინგი 020202 მარკეტინგული კვლევა 020203 გაყიდვების მართვა 020204 რეკლამა და საზოგადოებასთან ურთიერთობა	020251 ამოღებულია (17.02.2017 N 30/6) 020252 ამოღებულია (17.02.2017 N 30/6) 020253 სარეკლამო აგენტი 020254 სადაზღვევო აგენტი 020255 გამყიდველ-კონსულტანტი 020256 - კონსულტანტი - გამყიდველი (6.08.2015 N 96/6)
	0203 მენეჯმენტი	020301 ტურიზმისა და	020351 ამოღებულია (17.02.2017 N 30/6)

		<p>მასპინძლობის მენეჯმენტი 020302 ხელოვნების მენეჯმენტი 020303 ჯანდაცვის მენეჯმენტი 020304 ფარმაციის მენეჯმენტი 020305 აგრობიზნესის მენეჯმენტი 020306 განათლების მენეჯმენტი; (8.10.2012 N 219/6) 020307 საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი 020308 ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი 020309 სამთო საქმისა და გეოლოგიის მენეჯმენტი 020310 ტექნოლოგიების მენეჯმენტი 020311 ჰიდროენერგეტიკული მშენებლობის მენეჯმენტი 020312 მშენებლობის მენეჯმენტი 020313 ტრანსპორტის მენეჯმენტი 020314 ენერგეტიკის მენეჯმენტი 020315 მედიამენეჯმენტი 020316 ლოჯისტიკა და ექსპედიერება 020317 უძრავი ქონების ადმინისტრირება 020318 ბიზნესკომუნიკაციის მენეჯმენტი 020319 ტელეკომუნიკაციის მენეჯმენტი 020320 ინოვაციების მენეჯმენტი 020321 საწარმოო და ოპერაციული მენეჯმენტი 020322 ადამიანური რესურსების მართვა 020323 მანქანათმშენებლობის მენეჯმენტი 020324 ქიმიური და კვების წარმოების მენეჯმენტი 020325 მეტალურგიული წარმოების მენეჯმენტი 020326 მცირე ბიზნესის მართვა 020327 პროექტების მენეჯმენტი 020328 საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი 020329 ბიოლოგიური რესურსების მენეჯმენტი 020330 სპორტის მენეჯმენტი 020331 კულტურის მენეჯმენტი 020332 ინფორმაციის</p>	<p>020352 საბაჟო დეკლარირების სპეციალისტი 020353 საბაჟო წარმომადგენელი 020354 ამოღებულია (17.02.2017 N 30/6) 020355 ამოღებულია (30.11.2017 N 191/6) 020356 ოფისის მენეჯერი (მდივან-რეფერენტი) 020357 ღონისძიებათა მომწყობი 020358 ამოღებულია (17.02.2017 N 30/6) 020359 ამოღებულია (17.02.2017 N 30/6) 020360 მცირე ბიზნესის მწარმოებელი 020361 სოფლის მეურნეობის ბიზნესის მწარმოებელი 020362 ამოღებულია (17.02.2017 N 30/6) 020363 აგროლოჯისტიკის ოპერატორი 020364 ფერმერი (26.06.2014 N 78/6) 020365 - ოფისის მენეჯერი (6.08.2015 N 96/6) ამოღებულია (18.09.2017 N 168/6 ძალაში შევიდეს 2019 წლის 1 აპრილიდან) 020366 - ამოღებულია (18.09.2017 N 168/6 ძალაში შევიდეს 2017 წლის 21 სექტემბრიდან) 020367- ღონისძიების მენეჯერი (6.08.2015 N 96/6) ამოღებულია (18.09.2017 N 168/6 ძალაში შევიდეს 2018 წლის 27 ივლისიდან) 020368 – საბაჟო საქმე; (23.08.2017 N 146/6) 020369 – საოფისე საქმე; (23.08.2017 N 146/6) 020370 – ღონისძიების ორგანიზება; (23.08.2017 N 146/6) 020371 – ლოჯისტიკა. (23.08.2017 N 146/6)</p>
--	--	--	---

		<p>მენეჯმენტი 020333 ოპერაციების მენეჯმენტი 020334 ტყის რესურსების მდგრადი მართვა; (12.02.2013 N 26/6) 020335 - ჰოსპიტალური მენეჯმენტი (03.08.2015 N90/6)</p>	
	0204 ფინანსები	<p>020401 საბანკო საქმე 020402 კორპორაციული ფინანსები და მართვა 020403 პროექტების ფინანსური მართვა 020404 საერთაშორისო ფინანსები 020405 ინვესტიციები და ფინანსური პორტფელის მართვა 020406 ფინანსური ანალიზი და პროგნოზირება 020407 ფინანსური ინსტიტუტების მართვა 020408 რისკების მართვა 020409 სადაზღვევო საქმე</p>	<p>020451 ამოღებულია (17.02.2017 N 30/6) 020452 ამოღებულია (17.02.2017 N 30/6) 020453 შემფასებელი 020454 ბანკის ოპერატორი 020455 - ბანკის მოლარე - ოპერატორი (6.08.2015 N 96/6) ამოღებულია (18.09.2017 N 168/6 ძალაში შევიდეს 2018 წლის 27 ივლისიდან) 020456 - საფინანსო სერვისები (17.11.2017 N 187/6)</p>
	0205 ტურიზმი ამოღებულია (21.08.2014 N 102/6)		
მიმართულება	დარგი/სპეციალობა	ქვედარგი/სპეციალიზაცია	პროფესიული სპეციალიზაცია
03 განათლება	0301 განათლების მეცნიერებები	<p>030101 განათლების ფილოსოფია 030102 განათლების სოციოლოგია 030103 განათლების პოლიტიკა 030104 ინტერკულტურული განათლება 030105 ზრდასრულთა განათლება 030106 ინკლუზიური განათლება 030107 განათლების კვლევები 030108 განათლების ადმინისტრირება. (8.10.2012 N 219/6) 030109 სპეციალური განათლება (2.09.2013 N 121/6)</p>	
	0302 მასწავლებლის განათლება	<p>030201 საგნის/საგნობრივი ჯგუფის სწავლების მეთოდის/დიდაქტიკა 030202 დაწყებითი განათლების პედაგოგიკა</p>	<p>030251 ამოღებულია (30.11.2017 N 191/6) 030252 ამოღებულია (17.02.2017 N 30/6) 030253 ამოღებულია (17.02.2017 N 30/6) 030254 - ბაგა - ბაღის აღმზრდელი - პედაგოგი (6.08.2015 N 96/6) 030255 - სკოლამდელი აღზრდა. (26.12.2017 N 206/6)</p>
მიმართულება	დარგი/სპეციალობა	ქვედარგი/სპეციალიზაცია	პროფესიული სპეციალიზაცია

04 ინჟინერია	0401 კომპიუტინგი/ინფორმატიკა	<p>040101 ინფორმაციული ტექნოლოგიები</p> <p>040102 ინფორმაციული სისტემები</p> <p>040103 ამოღებულია (11.07.2016 N 76/ნ)</p> <p>040104 კომპიუტერული მეცნიერება</p> <p>040105 პროგრამული ინჟინერია</p> <p>040106 ინტერდისციპლინური ინფორმატიკა</p> <p>040107 გამოთვლითი მეცნიერებები</p>	<p>040151 ინტერნეტტექნოლოგი (ვებსპეციალისტი)</p> <p>040152 კომპიუტერული გრაფიკოსი</p> <p>040153 ინფორმაციული ტექნოლოგი</p> <p>040154 კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსი</p> <p>040155 ამოღებულია (30.11.2017 N 191/ნ)</p> <p>040156 ვებსპეციალისტი; (12.02.2013 N 26/ნ)</p> <p>040157 კომპიუტერული გრაფიკოს-ანიმატორი; (12.02.2013 N 26/ნ)</p> <p>გ040158 კომპიუტერული ინჟინერი; (12.02.2013 N 26/ნ)</p> <p>040159 კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ადმინისტრატორი; (12.02.2013 N 26/ნ)</p> <p>040160 - ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტი (6.08.2015 N 96/ნ)ამოღებულია (18.09.2017 N 168/ნ პალაში შევიდეს 2019 წლის 1 მარტიდან)</p> <p>040161 - კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი (6.08.2015 N 96/ნ)</p> <p>040162 - სისტემების ადმინისტრატორი (6.08.2015 N 96/ნ)</p> <p>040163 - საგამომცემლო საქმის ტექნიკური დიზაინერი (6.08.2015 N 96/ნ)</p> <p>040164 - სამგანზომილებიანი გრაფიკის სპეციალისტი (გენერალისტი) (6.08.2015 N 96/ნ)</p> <p>040165 - ვებინტერფეისის დეველოპერი (6.08.2015 N 96/ნ)</p> <p>040166 - ვებინტერფეისის დიზაინერი (6.08.2015 N 96/ნ)</p> <p>040167 - ვებპროგრამისტი (6.08.2015 N 96/ნ)</p> <p>040168 - პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპერი (6.08.2015 N 96/ნ)</p> <p>040169 - სამგანზომილებიანი განათების და ვიზუალიზაციის სპეციალისტი (23.05.2016 N 44/ნ)</p> <p>040171 - ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა. (23.08.2017 N 146/ნ)</p> <p>040172 - პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგი (25.01.2018 N 3/ნ)</p> <p>040173 - კომპიუტერული ქსელი</p>
--------------	------------------------------	--	---

		და სისტემები (25.01.2018 N 3/6) 040174 – კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება (25.01.2018 N 3/6) 040175 – ვებტექნოლოგიები (25.07.2018 N01/6)
0402 ტელეკომუნიკაცია		040251 სატელეკომუნიკაციო ქსელებისა და სისტემების ექსპლუატაციის ოპერატორი 040252 რადიო- და სატელევიზიო სისტემების მომსახურებისა და ექსპლუატაციის ოპერატორი 040253 ამოღებულია (17.02.2017 N 30/6) 040254 – ტელეკომუნიკაცია (25.01.2018 N 3/6)
0403 ხელსაწყოთმშენებლ ობა, ავტომატიზაცია და მართვის სისტემები	040301 ავტომატიზაცია და მართვის სისტემები 040302 ბიოსამედიცინო ინჟინერია 040303 საზომი ტექნიკა, ხარისხის კონტროლისა და უზრუნველყოფის ტექნოლოგიები	040351 ამოღებულია (30.11.2017 N 191/6) 040352 ამოღებულია (17.02.2017 N 30/6) 040353 საზომი ხელსაწყოების ტექნიკოსი 040354 ამოღებულია (17.02.2017 N 30/6) 040355 მობილურ-საკომუნიკაციო აპარატების ტექნიკოსი 040356 – ელექტრონული მოწყობილობების ექსპლუატაცია. (23.08.2017 N 146/6)
0404 საინჟინრო ფიზიკა	040401 მიკროელექტრონიკა და ოპტოელექტრონიკა 040402 ფიზიკურ-ტექნიკური ექსპერტიზა 040403 მასალებისა და სტრუქტურების დიაგნოსტიკა 040404 ნანოტექნოლოგია	040451 მიკროელექტრონიკისა და ოპტოელექტრონიკის ტექნოლოგიისა და მოწყობილობების ტექნიკოსი
